საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №10
2014 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1^2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებაში (სსმ III, 20.01.2010წ., №6, მუხ. 51) შევიდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 მუხლი:

„მუხლი 12^1. იპოთეკის რეგისტრაცია სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე

სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკის წარმოშობის/ცვლილების რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებული პირი შესაბამის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას სააგენტოს წარუდგენს უშუალოდ ან ავტორიზებული ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**